დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N04-202

სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი''

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. ასევე, წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას გაუმჯობესების მიზნებისთვის.

მუხლი 2. მიზანი

1. წინამდებარე წესის მიზანს წარმოადგენს:
   1.1. კოლეჯის იმიჯის შენარჩუნებაზე ზრუნვა და ცნობადობის ამაღლება;
   1.2. შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის;
   1.3. საზოგადოების როლის ზრდა კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებაში.
2. შემუშავებული მექანიზმები უზრუნველყოფს სწორი და დროული ინფორმაციის გავრცელებასა და მოპოვებას როგორც კოლეჯის შიგნით, ასევე კოლეჯს გარეთ, მიზანმიმართული საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებითა და საზოგადოების ჩართულობით.

მუხლი 3. ვალდებულებები

1. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან: დროულად მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე - შეამოწმოს და საჭიროებისამებრ დააკორექტიროს მასალა გასაჯაროებამდე.
2. დასაქმებულები ითვალისწინებენ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირის თხოვნას დაუგეგმავი შეხვედრების ორგანიზებასა და მონაწილეობაზე.
3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კომუნიკაცია წარმართოს როგორც კოლეჯის შიგნით, ასევე გარეთ წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და მიწოდების გონივრული ვადის ინტერესი.
4. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ზრუნავს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოყენებაზე, რისთვისაც ცვლიან და ავრცელებენ ინფორმაციას.

მუხლი 4. ვიზიტორები და შიდა შეხვედრები

1. კოლეჯის ვიზიტორებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ზრუნავს კოლეჯის ყველა თანამშრომელი, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ ვიზიტორის დაკვალიანებას.
2. კოლეჯში შემოსული მოქალაქეების ინფორმირება, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს. იმ

შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შემდგომ ადრესატს.

3. კოლეჯში დაგეგმილი შეხვედრების მონაწილეების, ღონისძიებების სტუმრებისა და მედიის წარმომადგენლების მიღება/დახვედრა უზრუნველყოფილია საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, წინასწარი მომზადების საფუძველზე.
4. გაუთვალისწინებელ და დაუგეგმავ შეხვედრებს ორგანიზებას უწევს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი, შესაბამის თანამშრომლებთან კოორდინაციით.
5. ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტებისთვის (შემდგომში - „სტუდენტი“) მსმენელებისთვის და თანამშრომლებისთვის კოლეჯში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ინფორმაციული შეხვედრები, კერძოდ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, ალკოჰოლიანი სასმელების, ნარკოტიკების და თამბაქოს მოხმარების უარყოფითი შედეგების და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის და სხვათა შესახებ.
6. კოლეჯის საკონტაქტო ტელეფონის ნომერია 577 21 50 90 რომელზე შემოსულ ზარებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება განსაზღვრული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ, მისი კომპეტენციის ფარგლებს მიღმა არსებულ შეკითხვებზე, საჭიროებისამებრ განსაზღვრავს ზარის შემდგომ ადრესატს და ახდენს გადამისამართებას.

მუხლი 5. გარე შეხვედრები და აქტივობებში ჩართულობა

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმის - პირისპირ შეხვედრების ფორმატში, კოლეჯი მის მიერ განხორციელებადი სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ახდენს საჯარო და კერძო სკოლებში (მთელი საქართველოს მასშტაბით) ინფორმაციის გაზიარებას პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და კოლეჯის პროგრამების რეკლამირების მიზნით.
2. საინფორმაციო ტიპის შეხვედრებში ჩართულნი არიან მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებიც ახდენენ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას და პროგრამების შესახებ იძლევიან დეტალურ ინფორმაციას.
3. კოლეჯი მხარს უჭერს სხვადასხვა ორგანიზაციების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და სტუდენტების/მსმენელების მონაწილეობას.
4. კოლეჯი ზრუნავს სხვადასხვა პროექტებში მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და სტუდენტების/მსმენელების ჩართულობაზე.

მუხლი 6. მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა

1. კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოტივაციის ამაღლების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს მათი წახალისებისკენ მიმართულ აქტივობებს:
   1.1 წამახალისებელი გარემოს შექმნის მიზნით, სტუდენტების/მსმენელების მიერ შექმნილი ნამუშევრების კოლეჯის სოციალური ქსელების გვერდებზე გაზიარებასა და კოლეჯის სივრცეში განთავსებას.
2. ადმინისტრაცია ცდილობს მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და სტუდენტების/მსმენელების საგანმანათლებლო თუ სპორტული ინიციატივების ხელშეწყობას:

სპორტი

2.1 ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, ეწყობა სპორტული შეჯიბრებები და შიდა ჩემპიონატები.

2.2 შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ როგორც მასწავლებლები/ინსტრუქტორები, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

2.3 ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი წახალისების მიზნით ჯილდოვდება.

განათლება

2.1 კოლეჯის სივრცე გამოიყენება მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და სტუდენტების/მსმენელების სამუშაო შეხვედრებისა და პროფესიული ზრდის მიზნით.

2.2 კოლეჯის სივრცეში მუშაობენ პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებზე.

2.3 სტუდენტების/მსმენელების მცირე ბიზნესის წამოწყებას, მხარს უჭერენ როგორც მასწავლებლები/ინსტრუქტორები, ასევე ადმინისტრაცია და ერთობლივად უწევენ კონსულტაციას საჭირო საკითხებში.

3. საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი ორგანიზებას უკეთებს ზემოაღნიშნულ აქტივობებს და შესაბამის ინფორმაციას ანთავსებს ვებ გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 7. ვებ გვერდი და სოციალური ქსელები

1. კოლეჯი ცდილობს საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობების დამყარებას და ზრუნავს მის შენარჩუნებაზე.
2. კოლეჯი საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს კოლეჯის ვებგვერდს - www.tmk.edu.ge ელექტრონულ ფოსტას tmkcollege@tmk.edu.ge და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში - (facebook (ფეისბუქი) -,,სსიპ ილი წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი''.
3. კოლეჯი პერიოდულად თანამშრომლობს საგანმანათლებლო პორტალებსა და ვებგვერდებთან მოსახლეობაში პროფესიულ განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
4. ვებგვერდზე არის ის არსებითი ინფორმაცია, რაც იძლევა პროფესიულ განათლებაში კოლეჯის ადგილისა და როლის ამოცნობის საშუალებას.
   4.1 ვებგვერდზე წარმოდგენილია საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია და დროული სიახლეები.
   4.2 ვებგვერდზე აისახება როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები.
   4.3 ვებ გვერდზე განსათავსებელად საჭირო ინფორმაცია ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლ პირს მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
   4.4 ვებგვერდი ვიზიტორებისთვის იძლევა კოლეჯისთვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებას, შემოსულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის/გადამისამართების პრეროგატივა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს.
5. სოციალური ქსელში შექმნილი სხვადასხვა თემატიკის ჯგუფებში ხდება შესაბამისი, ზოგიერთ შემთხვევაში მომხმარებლების მიერ მოთხოვნილი, ინფორმაციის გაზიარება-გავრცელება.

მუხლი 8. კომუნიკაცია თანამშრომლებთან

1. კოლეჯი ცდილობს თანამშრომლებში, მათ შორის მასწავლებლებში/ინსტრუქტორებში პოზიტიური სივრცის შექმნას, სადაც კომუნიკაციაში ჩართული მხარეები კომფორტულად გრძობენ თავს.
2. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამოიყენება სატელეფონო კავშირი, კოლეჯის ვებ გვერდი, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა და კოლეჯის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია.
3. საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი შეხვედრების ფორმატით ან/და ელქტრონული ფოსტის საშუალებით აცნობს თანამშრომლებს დაგეგმილი პიარ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და აწვდის დეტალებს გავრცელების მიზნით.

მუხლი 9. კომუნიკაცია სტუდენტებთან/მსმენელებთან

1. სტუდენტებისთვის და მსმენელებისთვის დადებითი სასწავლო გარემოს შექმნას ცდილობს კოლეჯის ყველა თანამშრომელი.
2. სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორთან შეთანხმებით.

3. სტუდენტებთან/მსმენელებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება კოლეჯის ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, კოლეჯის შენობის ღია სივრცე, სადაც გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია, სატელეფონო კავშირი. ასევე ინფორმაციის მიწოდება პირდაპირი კომუნიკაციის გზით ხდება აუდიტორიებში ან შეხვედრის ორგანიზებით.

მუხლი 10. კომუნიკაცია პარტნიორ საწარმოებს შორის

1. კოლეჯის საწამოო პრაქტიკის მენეჯერი უფლებამოსილია მოიძიოს საწარმოები, რომლებიც თავის მხრივ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოთქვამენ სურვილს კოლეჯთან თანამშრომლობის, რომლის ფარგლებში იდება ურთიერთნამშრომლობის ხელშეკრულება, კოლეჯსა და საწარმოს შორის.
2. პარტნიორ საწარმოსთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირია, კოლეჯის სწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.
3. სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სწავლების პერიოდში, მონიტორინგს კოლეჯის მხრიდან ახორციელებს საწამოო პრაქტიკის მენეჯერი, რომელსაც მჭიდრო კომუნიკაცია აქვს ინსტრუქტორებთან და საწარმოს ხელმძღვანელებთან.
4. კომუნიკაცია მიმდინარეობს როგორც პირდაპირი გზით, ასევე სატელეფონო და ელექტრონული ფოსტის (ელ.ფოსტა) საშუალებით.
5. ურთიერთანამშომლობის გაუმჯობესების მიზნით, საწარმოო პრაქტკის მენეჯერი დროგამოშვებით ატარებს კვლევებს, რომელიც ტარდება როგორც სატელეფონი ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 11. უკუკავშირის შედეგები და ანალიზი

1. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია მისი მოლოდინების ეფექტური დაკმაყოფილებისთვის.

2. კოლეჯში საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პროცესში, გაცნობიერებულია უკუკავშირის დადებითი ეფექტები.
3. ურთიერთანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი დროგამოშვებით ატარებს კვლევებს, რომლის საფუძველზე მზადდება დასკვნა და შემდგომი რეაგირებისათვის წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
4. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის.
5. გამოკვეთილი ხშირად დასმული შეკითხვების FAQ პასუხები აკუმულირდება ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე, რაც პერიოდულად ექვემდებარება განახლებას.
6. ანალიზს წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი “ (შემდგომში - წესი) დამტკიცება და ასევე მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.